კომპლექსური დავალება

ინტერვიუ

„ გოდერძი ჩოხელის ცხრა შეკითხვა სიყვარულის შესახებ“

ნინო რამიშვილი- 72 წლის, პროფესიით- ქართული ცეკვის ქორეოგრაფი, მოცეკვავე. (გათხოვილი).

მე -გამარჯობა ქალბატონო ნინო

ნინო- მოგესალმებით.

მე- შეიძლება რამდენიმე კითხვა დაგისვათ სიყვარულთან დაკავშირებით?

ქალბატონი ნინო- კი რა თქმა უნდა, მაგრამ ძალიან ცოტა დრო მაქვს.

მე- კარგით დიდ დროს არ წაგართმევთ. _გჯეროდათ თუ არა ბავშვობაში ზღაპრული სიყვარულის?

ქალბატონი ნინო- რა თქმა უნდა ჩემო კარგო, ბავშვობაში ყველას გვჯერა, რომ ყველაფერი მარტივად და ლამაზად მოხდა, აიი მერე ხვდები რომ სიყვარული რეალურ ცხოვრებაში დიდი შრომას და ბრძოლას მოითხოვს.

მე- კი მაგრამ რატომ ასეთი თავგანწირვაა? განა სიყვარული ტანჯვა?

ქალბატონი ნინო- არა ჩემო კარგო, პირიქით ყველაზე კარგი რამაა! მაგარმ ამას მაშინ მიხვდები როცა ვინმე შეგიყვარდება.

მე- და საიდან იცით რო არავინ მიყვარს?

ქალბატონი ნინო- შეყვარებულ ადამიანს თვალები სულ სხვანაირად უბრწყინავს შვილოო, შენ კი გეტყობა სამსახურზე შეყვარებული ახალგაზრდა ხარ.

მე- კარგით რა ქალბატონო ნინო ნუ დამცინით. ქალბატონო თუ სიყვარული ჭეშმარიტია რატომ შორდებიან ადამიანები ერთმანეთს?

ქალბატონი ნინო- იმიტომ რომ სიყვარული არ კმარა ცხოვრებაში, ბევრი სხვა რამეცაა - ურთიერთგაგება, პატივისცემა, პასუხისმგებლობა, დრო და გარემოებები.

მე- რას ნიშნავს სიყვარული თქვენთვის ერთი სიტყვით?

ქალბატონი ნინო- „სიცოცხლეს“ ყველაფერი სიყვარულია და მის გარეშე უბრალოდ ვერ იარსებებ.

მე- ქალბატონო ნინო გყვარებიათ ვინმე?

ქალბატონი ნინო- როგორ არა! ჩემი პირველი სიყვარული იყო ჩემი ქმარი, რომელზეც 48 წელია დაქორწინებული ვარ. მთავარია ნდობა და გაგება გქონდეთ ურთიერთობაში და ეს სიყვარული სიკვდილამდე გაგყვებათ!.

მე- სიყვარულს ოდესმე ხელი შეუშლია თქვენს პროფესიასთან?

ქალბატონი ნინო- სიყვარული ზოგჯერ პროფესიას ხელს უშლის, როცა გრძნობები იმდენად ძლიერია ხდება, რომ ყურადღებას სამუშაოზე ვერ ამახვილებ, ან გადაწყვეტილებებს ემოციებით იღებ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სიყვარული პირიქით გაძლიერებს: ენერგიას გაძლევს, შთაგაგონებს და უფრო პროდუქტიულს გხდის. ყველაფერი დამოკიდებულია ბალანსზე შეძლებ თუ არა გრძნობებსა და პროფესიულ მიზნებს შორის თანხმობის პოვნას.

მე- მე ამით დავასრულებ! დიდი დრო რომ არ წაგართვათ, ძალიან დიდი მადლობა გულწრფელი პასუხებისთვის.

ქალბატონი ნინო- მადლობა თქვენ ახალგაზრდავ, გისურვებ მალე შენც გამოგეცადოს ეს ლამაზი გრძნობა.

ანა ზეინკლიშვილი